პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 281 (10057)

შაბათი, 27 ნოემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — ლექციური პროპაგანდის მაღალი დონისათვის (მე-2 გვერდი).
მოწინავე გამოცდილების გავრცელების მძლავრი საშუალება (მე-2 გვერდი).
ბარაქიანი მოსავლის დღესასწაული (მე-2 გვერდი).
ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვა (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია (მე-4 გვერდი).
მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობის საბოლოო სხდომა (მე-4 გვერდი).
პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში (მე-4 გვერდი).

მაღალ დონეზე ჩავაჯაროთ პარჯიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა მზარდი აქტივობის ვითარებაში, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. პარტიული მასები საქმიანად განიხილავენ საანგარიშო მოხსენებებს და გაბედულად ამჟღავნებენ მუშაობის სუსტ მხარეებს.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები ეწყობა იმის შემოწმების ნიშნით, თუ როგორ ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების, პარტიისა და მთავრობის შემდგომი გადაწყვეტილებები, იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე პარტიის ც. კ-ის დადგენილებები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე კომუნისტები აღნიშნავენ გაწეული მუშაობის შედეგებს, ამავე დროს მწვავედ აკრიტიკებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისადმი, იდეოლოგიური მუშაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ეწყობა. ერის შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევისა და პარტიის წევრთა უფლებების შელახვის შემთხვევები.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობამ ზოგან გამოავლინა საანგარიშო-საარჩევნო კრებების არაორგანიზებულად ჩატარების, ამ კრებებისადმი პარტიის ზოგიერთი საქალაქო კომიტეტისა და რაიკომის მხრივ არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის ფაქტები. საჭიროა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულ იქნას სათანადო ღონისძიებანი და უფრო მომზადებულად, შინაარსიანად ჩატარდეს საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რათა ამ საფუძველზე მიღწეულ იქნას მთელი პარტიული მუშაობის ახალი აღმავლობა.

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნებს არასაკმაოდ ხელმძღვანელობენ პარტიის ფოთის საქალაქო, კაჩრეთის, წითელწყაროს, ვანის, დუშეთის, ცხაკაიას, აბაშის რაიონული კომიტეტები, რის გამოც ცალკეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, შინაპარტიული დემოკრატიისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დარღვევით ეწყობა. არის შემთხვევები, როცა საანგარიშო მოხსენებები ზერელედ არის შედგენილი და ძალიან ცოტა ყურადღება აქვს დათმობილი ბრძოლას სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის. საანგარიშო მოხსენებებში უმნიშვნელო ადგილი უკავია იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს.

იმისათვის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრება ნაყოფიერი იყოს, საჭიროა იგი გულდასმით მოვამზადოთ, წინწამოწიოთ და ფართო მსჯელობის საგნად გავხადოთ მუშაობის ჩამორჩენილი უბნები. მაგრამ კრების მომზადება იმას როდი ნიშნავს, რომ წინასწარ შევადგინოთ ორატორთა სიები და განვსაზღვროთ, თუ ვინ რაზე ილაპარაკებს. ასეთი შემთხვევები კი არის. მაგალითად, ქალაქ ფოთის სახანძრო რაზმის პარტიულ ორგანიზაციაში წინასწარ შეადგინეს იმ კომუნისტების სია, რომლებიც კამათში მიიღებდნენ მონაწილეობას. ეს უეჭველად დასაგმობი პრაქტიკაა, ვინაიდან იგი ზღუდავს კომუნისტების აქტივობას და ამცირებს საანგარიშო-საარჩევნო კრების, როგორც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართო ტრიბუნის როლს.

საანგარიშო მოხსენება, რომელშიც შეჯამებულია მუშაობის შედეგები და ჩამოყალიბებულია პარტიული ორგანიზაციის მორიგი ამოცანები, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია. მან სწორი ტონი უნდა მისცეს კრებას. მოხსენება ღრმაშინაარსიანი და თვითკრიტიკული მხოლოდ მაშინ არის, როცა იგი პარტბიუროს წევრთა კოლექტიური შრომის ნაყოფს წარმოადგენს, როცა მასში გათვალისწინებულია კომუნისტთა წინადადებანი. პარტბიუროს წევრებს უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ ღრმა ანალიზი გაუკეთონ პირველადი ორგანიზაციის საქმიანობას, მოიფიქრონ, თუ რა საშუალებებითა და ღონისძიებებით გამოსწორდეს ნაკლოვანებანი. მაგრამ ფაქტები მოწმობს, რომ ბევრი საანგარიშო მოხსენება ზერელედ არის მომზადებული და არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება. წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა საანგარიშო მოხსენება კრების დაწყებამდე ერთი საათით ადრე „მოამზადა". აბაშის რაიონის სოფელ ზანათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა წაიკითხა საანგარიშო მოხსენება, რომელიც კრების დაწყებამდე პარტიის რაიკომის ინსტრუქტორმა ამხ. ვამალომიძემ დაუწერა.

პარტიის ზოგიერთი რაიკომი არ ასრულებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების კალენდრულ გეგმას. ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი კრებაზე კომუნისტების დიდი უმრავლესობის დასწრება, არის დაგვიანების შემთხვევები. დუშეთის რაიონში ისეთი შემთხვევაც კი იყო, როცა სოფელ ხეობის პარტიულ ორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრება პარტიის რაიკომის ინსტრუქტორის კ. მირზაშვილის გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების ცოცხლად და შინაარსიანად ჩატარებს გადამწყვეტი პირობაა შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების მტკიცედ დაცვა. საჭიროა ზუსტად და განუხრელად დავიცვათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქცია, რომელიც პარტიული ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევნების წესს განსაზღვრავს. მაგრამ, სამწუხაროდ, შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევის შემთხვევები ჯერ კიდევ არის. მაგალითად, წითელწყაროს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის კრებაზე პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე ღია კენჭისყრით აირჩიეს. აბაშის რაიონის სოფელ ნოღახაშის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებამ რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატად სკკპ წევრობის კანდიდატი აირჩია. კაჩრეთის რაიონის სოფელ ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კანდიდატურები ფარული კენჭისყრისათვის წინაპარ შემუშავებული სიით დაასახელეს. პარტიის წევრთა უფლებანი შეურყეველია. არავის არ ეპატიება ამ უფლებათა თუნდაც ოდნავი შელახვა.

კომუნისტები კრებებზე გამოთქვამენ ბევრ საქმიან შენიშვნასა და სასარგებლო წინადადებას, რომლებიც საფუძვლად ედება მიღებულ გადაწყვეტილებებს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განაზოგადონ ეს წინადადებანი და უზრუნველყონ მათი დროულად განხორციელება. მაგრამ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ჯერეოვნად არ უგდებენ ყურს კომუნისტთა ხმას, რის გამო საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე არაკონკრეტული, ფორმალური დადგენილებები გამოაქვთ. ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მიიღეს ღონისძიებანი, რომლებიც უცვლელად გადმოწერილია ამ ერთი წლის წინათ ჩატარებული საანგარიშო-საარჩევნო კრების დადგენილებიდან.

პარტიული ორგანოების არჩევა საანგარიშო-საარჩევნო კრებების უმნიშვნელოვანესი საქმეა. პარტბიუროების წევრთა შემადგენლობაში და პარტორგანიზაციების მდივნებად ნამდვილად ავტორიტეტიანი და უნარიანი ამხანაგები უნდა ავირჩიოთ.

საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები მოწოდებული არიან ფართოდ გააშუქონ პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობა, გაბედულად ამხილონ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება ხელს შეუწყობს მთელი პარტიული მუშაობის შემდგომ აღმავლობას, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

რუსეთის სფსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურებისა და ყურძნის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურებისა და ყურძნის დამზადებისა და შესყიდვის მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმები.

რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს და შესყიდვის წესით მიჰყიდეს: ბოსტნეული 332 ათასი ტონით მეტი, ბაღჩეული კულტურები 155 ათასი ტონით მეტი და ყურძენი 16,4 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან.

საბჭოთა საქართველოს დღე

მანდარინის კრეფა ბათუმის რაიონის მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში. **სურათზე:** მეურნეობის მუშები ს. დოლაძე (მარჯვნივ) და პ. კიციუკი, რომლებიც ციტრუსების კრეფის ყოველდღიურ დავალებებს 160-200 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის

2.000.000 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია

ბიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას, გულდასმით აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ხუთწლიანი გეგმის ოთხი თვით ადრე შესრულება იკისრეს. უკვე გაჩაღდა თავდადებული ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ახალი გამარჯვება მოიპოვა ლენინის სახელობის მაღაროს სახელოვანმა კოლექტივმა, რომელსაც 1953-1954 წლებში ოთხჯერ მიეკუთვნა სსრ კავშირის მრეწველობის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია ერთი მილიონი მანეთის რაოდენობით. მაღაროს კოლექტივმა თერთმეტი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლით ორი კვირით ადრე შეასრულა და ახლა მარგანეცს დეკემბრის ანგარიშში იძლევა. მაღალსაყოფრერად მუშაობენ გ. გაფრინდაშვილის, პ. ჩარნაძის, შ. გამეზარდაშვილის უბნები, აგრეთვე მარგანეცის ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ალ. მოდებაძე ხელმძღვანელობს. წარჩინებული მაღაროელები შ. სარაძე, გ. კაკენაძე, დ. კილაძე, გ. ლომსაძე, ს. შველიძე, ო. სიესვაძე, ბ. ცარცაძე, ი. სამხარაძე ყოველდღიურ დავალებებს 150-170 პროცენტით ასრულებენ. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივის გადაწყვეტილებაა ნოემბრის ბოლომდე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 2 მილიონ მანეთზე მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის წარმატებით მუშაობს ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი. მარგანეცს გეგმის გადამეტებით იძლევა აგრეთვე დმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც წელს მესამე კვარტალში შავი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოთა შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავა.

ერთსულოვანი ენთუზიაზმით

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ მოწოდებას შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

ყველა საწარმოში გაიმართა მოსკოველთა პატრიოტული წამოწყებისადმი მიძღვნილი კრებები. საწარმოთა კოლექტივებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივი ნოემბრიდან დეკემბრის დავალებათა ანგარიშში მუშაობს. ამ ქარხნის მესამე საამქროს კოლექტივმა, რომელიც ქარხანაში ერთ-ერთი მოწინავეა, პირობა დადო 5 დეკემბრის ნაცვლად, რაც წინა ვალდებულებით ჰქონდა ნაკისრი, მომდინარე წლის დავალება შეასრულოს 1 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით სახალხო მეურნეობას მისცეს ათეულ ათასობით ტონა ნავთობპროდუქტები.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს ქარხნის პირველმა, მეორე, მეოთხე, მეხუთე და მეთექვსმეტე საამქროებმაც.

ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშიბსა და ინჟინერ-ტექნიკოსებში მოსკოველთა წამოწყებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით მიმდინარე წლის ბოლომდე გამოუშვან ახალი მანქანები, შემდგომ გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და მნიშვნელოვნად გადააჭარბონ ხუთი წლის გეგმას როგორც სასაქონლო, ისე საერთო პროდუქციის. გამოშვების დარგში, ხოლო მომავალი წლის საწარმოო დავალება გაანაღდონ 1955 წლის 5 დეკემბრისათვის.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ბათუმელმა კონდიტრებმა. მათი გადაწყვეტილებაა მეხუთე ხუთწლედის დავალება გაანაღდონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38-ე წლისთავისათვის და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცენ 4 მილიონი მანეთის საკონდიტრო ნაწარმი.

ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში. **სურათზე:** მეურნეობის მუშა ვ. ფოფხაძე მანდარინის კრეფის დროს. ყოველდღიურ დავალებებს იგი ორმაგად ასრულებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

ახალი საჩუქარი მოსწავლეებს

კიდევ ერთი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს ქ. თბილისის სტალინის რაიონის მოსწავლეებმა. ქუთაისის ქუჩაზე დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი სასწავლო შენობა, რომელშიც მოთავსებულია მე-19 საშუალო რუსული სკოლა. აქ 640 მოსწავლე სწავლობს.

სასწავლებელს აქვს 13 საკლასო აუდიტორია, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები დაახმარე ოთახებით და უახლესი ინვენტარით, რაც ხელს შეუწყობს პოლიტექნიკური სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას.

შენობის ქვეშ სართულში მოთავსებულია ფიზკულტურის დარბაზი. ეს დარბაზი სტალინის რაიონის მოსწავლეთა სასპორტო ბაზად ითვლება. ამიტომ სწრაფი ტემპით აკომპლექტებენ დარბაზს ყველა საჭირო სასპორტო ინვენტარით.

გარდა ამისა, სკოლას აქვს მიწის საკმაოდ მოზრდილი სასწავლო ნაკვეთი ხეხილისა და სხვა ნარგავებით. ამ ნაკვეთზე გათვალისწინებულია საშემოდგომო და საგაზაფხულო პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება.

შუქი იორმუღანლოში

კაჩრეთი. (საკ. კორ.). იორმუღანლო ლამაზი სოფელია მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე. მიწურები, ჩალითა და შალაფით დახურული ქოხები, ოღროჩოღრო ქუჩები და ორლობეები, ჭრაქები მშრომელთა სახლებში — აი რას წარმოადგენდა რევოლუციამდე ეს სოფელი. ახლა საკოლმეურნეო ცხოვრებამ იორმუღანლელებს ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა.

ბევრმა სახლი აიშენა. ბაღჩა-ბაღებით მოიქარგა საკარმიდამო ნაკვეთები. გაიხსნა სკოლა, საექიმო პუნქტი, ბიბლიოთეკა, სავაჭრო მაღაზია.

მართალია, ჭრაქები ლამპებით შეცვალეს, მაგრამ ეს როდი აკმაყოფილებდა კოლმეურნეებს, მათ ელექტროშუქი სჭირდებოდათ. სურვილი აუსრულდათ...

ამას წინათ დამთავრდა ელექტროქსელის გაყვანა, ჩაირთო დენი. იორღუღანლოელ კოლმეურნეთა სახლებში ილიჩის ნათურები აინთო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ანოიანს** მიირამ ვართანის ასულს — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი დადეში.

2. **არაქელიანს** ლორიკ მკრტიჩის ასულს — კოლმეურნეს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ალათუმანი.

3. **აფთანდილოვას** მაკრინე იაკობის ასულს — კოლმეურნეს, წალკის რაიონის სოფელი იმერა.

4. **ბეგრაკიანს** არაქსი აკოფის ასულს — დიასახლისს, ახალციხის რაიონის სოფელი ჯალისმანი.

5. **გოგოხიას** ეკგენია ვასილის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელი მერხეული.

6. **კაცობაშვილს** მალაკ ბენიამინის ასულს — დიასახლისს, ქალაქი ახალციხე.

7. **ფაფაზიანს** მაკრუი კალუსტის ასულს — მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონი.

8. **როგონიანს** სერან ოვანესის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის სოფელი დაბა.

9. **ტარპეზონიანს** არშალუს არტინის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონის სოფელი კოლხიდა.

10. **უზუნიანს** ვართანუშ მიგრანის ასულს — მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გაგრის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 9 ნოემბერი.

ლ. ნ. ტოლსტოის უცნობი ავტოგრაფები

მოსკოვის ლ. ნ. ტოლსტოის სახელმწიფო მუზეუმში დამთავრდა ტოლსტოის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ტრადიციული კითხვა-მოხსენებანი. კითხვა-მოხსენებანი მიეძღვნა განვლილი წლის მანძილზე დიდი რუსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის კვლევითი მუშაობის შედეგებს.

დიდი ინტერესი გამოიწვია ლიტერატურათმცოდნეების მოხსენებებმა ლ. ნ. ტოლსტოის გამოუქვეყნებელი ავტოგრაფების შესახებ, რომლებიც ნაპოვნია კერძო არქივებში. პროფესორმა ნ. გუსევმა აღმოაჩინა დღემდე უცნობი ფრაგმენტები ორი პიესისა, რომლებიც ლ. ნ. ტოლსტოის 1910 წელს დაუწყია.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ე. სერებროვსკაიამ დამსწრეებს გააცნო მნიშვნელოვანი დოკუმენტის — ნიკოლოზ I-ის ჩანაწერების პირი, რომელიც ლ. ნ. ტოლსტოის გაუკეთებია. ამ დოკუმენტში მეფე ადგენს დეკაბრისტების სიკვდილით დასჯის დაწერილებით რიტუალს. ეს საიდუმლო დოკუმენტი ლ. ნ. ტოლსტოისათვის გადაუწერია ცნობილ კრიტიკოსს ვ. ვ. სტასოვს. შემდეგ მწერალს თავისი ხელით გადაუღია ვ. ვ. სტასოვის ხელნაწერის პირი, ეს უკანასკნელი კი მოუსპია. (საკდესი).

თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის საკითხთა განხილვა

საბჭოთა მწერლების მომავალ მეორე სრულიად საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით 23 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა თათბირი თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მოსკოველმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა, რომლებიც თარგმნიან სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და უცხოელ ავტორთა ნაწარმოებებს, აგრეთვე გამომცემლობათა მუშაკებმა. დიდი ყურადღება მიექცა მხატვრული თარგმანის ხარისხს, მთარგმნელთა კვალიფიკაციასა და ოსტატობას, გამოცემათა დაგეგმვას. (საკდესი).

პოლონეთს გაეგზავნა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლი

25 ნოემბერს მოსკოვიდან პოლონეთს საგასტროლოდ გაემგზავრა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის სამხატვრო ხელმძღვანელობით. ამ გამგზავრებისათვის მუსიკალურმა კოლექტივმა განაახლა თავისი საკონცერტო პროგრამა. (საკდესი).

ახალი ექსკავატორი ჭრანშეების სათხრელად

დამთავრდა ახალი ექსკავატორის „ერ-4" გამოცდა; ექსკავატორს იყენებენ მაგისტრალური ძილსადენების შენებლობის დროს ტრანშეების გასათხრელად.

მანქანა დაამზადა სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს მოსკოვის ექსპერიმენტულ-მექანიკურმა ქარხანამ „ნავთობის მანქანათმშენებლობის" საკონსტრუქტორო ბიუროს ნახაზებით. იგი გამოირჩევა უფრო გაუმჯობესებული კონსტრუქციით და 35-40 პროცენტით უფრო იაფი ჯდება ამ ტიპის წინათ გამოშვებულ იგივეტიპებთან შედარებით. მისი დამზადებისას საჭირო არ არის დიდი გადაკეთება „ს-80" ტრაქტორისა, რომლის ბაზაზეც იგი მუშაობს.

გამოცდამ ცხადყო ამ აგრეგატის კარგი თვისებები. 1955 წლის დამდეგს ნავთობის შენებლობათათვის გამოუშვებენ ასეთი ექსკავატორების პარტიას.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა ამხ. ბაიბაკოვმა დააჯილდოვა მუშაკთა ჯგუფი ახალი მანქანის პროექტის შექმნის, დამზადებისა და წარმატებით ათვისებისათვის. (საკდესი).

სიხარულისა და ბედნიერების სიმღერები

წარმატებით გრძელდება მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადა. ოლიმპიადის მონაწილე ყოველი თვითმოქმედი კოლექტივის გამოსვლას დედაქალაქის მაყურებელი დიდი ინტერესით ხვდება. ოლიმპიადის თვითეული კონცერტი ავლინებს ხალხის წიაღიდან გამოსულ ახალ-ახალ ტალანტებს. ესენი არიან საქართველოს მზარდი მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები, კულტურის ფრონტის მუშაკები, რომლებიც თავდადებულ შრომას შესანიშნავად ათავსებენ მხატვრული თვითმოქმედების წრეებში აქტიურ მონაწილეობასთან.

იხსნება ფარდა. სცენის სიღრმეში თეთრ ფონზე მაყურებელი სიამაყის გრძნობით უცქერის ახალი ინდუსტრიული ქალაქის — რუსთავის შესანიშნავი მხატვრული ოსტატობით შესრულებულ ხედს. სცენაზეა რუსთავის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. თარხნიშვილი). ანსამბლმა კარგად შეასრულა სიმღერები სამშობლოზე და რუსთავზე.

მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლამ ნ. ბახტაძის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა მაღალი მხატვრული ოსტატობით იმღერა „პარტია — ჩვენი მესაჭე" (მუსიკა ვ. მურადელისა, სიტყვები ს. მიხალკოვისა). მ. აბდუშელიშვილმა და ა. ლობჟანიძემ მოხდენილად შეასრულეს ქართული ცეკვა.

დიდი წარმატება ხვდა დუშეთის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (ხელმძღვანელი ვ. მკერვალიშვილი). ვ. რაზიკაშვილის ღრმაშინაარსიანი ლექსი, მიძღვნილი დიდი სტალინის ხსოვნისადმი, ჩონგურზე კარგად შეასრულა ი. ზაქაიძემ.

ორჯონიკიძის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ივ. აბაშიძე) ოლიმპიადაზე მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდა. განსაკუთრებული ოსტატობით იქნა შესრულებული „ცეკვა წყაროსთან", სიმღერები პარტიაზე (მუსიკა ცაგარეიშვილისა, სიტყვები გრიგოლიშვილისა), მშვიდობაზე (მუსიკა შ. მილორავასი) და „მაყრული".

მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს ქ. თბილისის, მცხეთის, სამტრედიის, ონის, წითელწყაროს, ჩოხატაურის, ღიღნაღის, ზუგდიდის და გურჯაანის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლებმა.

დღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერასა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება რესპუბლიკური ოლიმპიადის მორიგი კონცერტი.

პარტიული ცხოვრება

ლექციური პროპაგანდის მაღალი დონისათვის

რაიკომის ლექტორთა ჯგუფის გამოცდილებიდან

პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წელს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტთა რაოდენობა ამბროლაურის რაიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ გარემოებამ აუცილებელი გახადა კიდევ უფრო ამაღლდეს და გაძლიერდეს ლექციური პროპაგანდის როლი.

პარტიის რაიკომმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლექტორთა კადრების სწორად შერჩევას. პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებამდე ორი თვით ადრე გადაისინჯა ლექტორთა ჯგუფის შემადგენლობა და იგი 18-დან 26 კაცამდე იქნა გაზრდილი. ლექტორთა შერჩევისას ყურადღება მიექცა მათი თეორიული მომზადების დონეს, საერთო კულტურასა და პროპაგანდისტული მუშაობით დაინტერესებას.

ლექტორთა ჯგუფის შემადგენლობის გადიდებითა და მათთან მუშაობის გაძლიერებით შესაძლებელი გახდა ლექციური პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესება. პარტიის რაიკომი ზრუნავს ლექტორთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის. ამ მიზნით მათთვის სისტემატურად ეწყობა სემინარები, ხდება ბოწინავე ლექტორთა გამოცდილების განზოგადება. სემინარებზე ლექტორებს აცნობენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ ამოცანებს.

ყოველივე ამის შედეგად ლექციური პროპაგანდის თემატიკა უფრო მრავალფეროვანი გახდა. მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისისთვის ლექტორებმა წ�დაამზადეს და წარმოადგინეს 48 ახალი ლექციის ტექსტი. ეს ლექციები ძირითადად მოიცავენ პარტიის ისტორიისა და თეორიის, პოლიტიკური ეკონომიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. მათ შორის არის ლექციები ასეთ თემებზე: „კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები“, „ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია“, „საბჭოთა მეცნიერების მიღწევების როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში“, „მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტი ძალაა“, „ხალხთა მასების გადამწყვეტი როლი ისტორიაში“, „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები“ და სხვ.

რაიკომის ლექტორთა ჯგუფმა (ხელმძღვანელი გ. ნემსიწვერიძე) უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გააძლიერა კონტროლი ლექციების ხარისხისადმი, მათი იდეურ-თეორიული შინაარსისადმი. ამასთან ერთად ლექტორებს საქმიანი დახმარება ეწევათ ლექციის თემის ამორჩევაში, გეგმის შედგენასა და საჭირო ლიტერატურის შერჩევაში. როგორც წესი, ლექციათა ტექსტები სარეცენზიოდ ეძლევათ სპეციალისტებს, ხოლო შემდეგ მათი განხილვა ხდება ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე.

ლექტორთა ჯგუფის სხდომები რეგულარულად, თვეში ორ-სამჯერ იმართება. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ლექტორთა ჯგუფის სხდომა უფრო საქმიან ვითარებაში ტარდება და შედეგებიც უკეთესია, როდესაც სხდომას ესწრებიან იმ დარგის სპეციალისტები, რომლებიც ლექციის ტექსტია წარმოდგენილი. ავტორი ჯგუფის სხდომაზე კითხულობს ლექციის ტექსტს, რის შემდეგაც ეწყობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, აგრეთვე განსახილველად წარმოდგენილ ლექციაზე რეცენზიას კითხულობს ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი. ამის შემდეგ ყველა მართებული მოსაზრებისა და საქმიანი შენიშვნის გათვალისწინების საფუძველზე ლექტორთა ჯგუფს გამოაქვს დადგენილება — დაშვებულ იქნას თუ არა ლექცია წასაკითხავად. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ლექციაში დამატებითი მასალების შეტანა, დადგენილებაში კონკრეტულად მიეთითებენ ამ დამატებების შესახებ. ამასთან ლექტორს ურჩევენ, თუ რა ლიტერატურა გამოიყენოს მაღალხარისხოვანი ლექციის მოსამზადებლად.

შარშან ზოგიერთი ლექტორი როდი ითვალისწინებდა ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე მიცემულ შენიშვნებს. იგი ლექციის იმავე სახით კითხულობდა, როგორიც ლექტორთა ჯგუფში ჰქონდა წარდგენილი. ასეთი ფაქტების გამოვლინების შემდეგ ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა დაიწყო ლექციების შესწორებული ტექსტების მოთხოვნა, რაც კარგი შედეგი გამოიღო. ახლა ლექტორები შესწორებულ ლექციას ხელმეორედ ადგენენ ლექტორთა ჯგუფში. ამან საგრძნობლად აამაღლა ლექტორთა პასუხისმგებლობა ლექციის იდეური შინაარსისათვის. რაიკომის ლექტორებიდან ნაყოფიერად მუშაობენ და მოსახლეობის წინაშე ყოველთვის გულდასმით მომზადებული ლექციებით გამოდიან ა. ჯაფარიძე, ნ. დვალი, ზ. ფესხი, ვ. მაჭავარიანი და სხვები.

ლექტორთა ჯგუფი ნაღდვილ შემოქმედებითს კოლექტივს წარმოადგენს. ლექტორთა დიდი უმრავლესობა მთელი მონდომებით მუშაობს იმისათვის, რომ ლექცია მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე იქნას მომზადებული.

ამას წინათ ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე განიხილეს რაიკომის ლექტორის ქ. გიორგობიანის ლექცია თემაზე: „კრიტიკა და თვითკრიტიკა კადრების აღზრდის, ნაკლოვანებათა გამოსწორების ძირითადი მეთოდია“. ერთი შეხედვით ლექცია კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩანდა, რომ ქ. გიორგობიანს საკმაო დრო დაეხარჯა ლექციის მომზადებისათვის. მაგრამ, როგორც სხდომის მონაწილეებმა შენიშნეს, ლექციაში მეტად დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ნაკლოვანებათა მხილებას, ხოლო თითქმის არაფერი იყო ნათქვამი მუშაობის იმ ძირითად ხერხებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას. ამასთან ლექციაში მოყვანილი არ იყო ფაქტები ადგილობრივი ცხოვრებიდან. ლექტორთა ჯგუფის წევრებმა ქ. გიორგობიანს ურჩიეს ლექციაში ფართოდ გააშუქოს ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მუშაობის გაუმჯობესების გზები, მოიყვანოს ფაქტები რაიონის ცხოვრებიდან, ხოლო ადგილებზე ლექციის წაკითხვის წინ შეისწავლოს ამა თუ იმ კოლმეურნეობის მდგომარეობა და ადგილობრივი ფაქტების გამოყენებით მსმენელებს უჩვენოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის როლი ნაკლოვანებათა დაძლევის საქმეში. ქ. გიორგობიანმა ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე გაკეთებული შენიშვნების საფუძველზე გულდასმით გადაამუშავა ლექცია და გააუმჯობესა იგი.

პარტიის რაიკომი ყურადღებით ეკიდება ლექტორთა კადრების შერჩევასა და აღზრდას. რაიკომის მდივანი ამხ. შ. კახიძე სისტემატურად ესაუბრება ლექტორებად დასამტკიცებელ ამხანაგებს, უღვიძებს მათ ინტერესს ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი. რაიონული კომიტეტი მტკიცე კონტროლს უწევს ლექციების მოწყობის გეგმის შესრულებას, თვალყურს ადევნებს ლექტორთა ჯგუფის მუშაობას.

მიუხედავად ამისა, ლექტორთა ჯგუფის მუშაობაში ნაკლიც არის. ზოგიერთი ლექცია ზოგადად, განყენებულად, რაიონის წინაშე მდგომი ამოცანებისაგან მოწყვეტით იკითხება. იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევა, როცა ლექცია დაწერილი არ არის საქმის ღრმა ცოდნით და გასაგები ენით. ლექციური პროპაგანდის ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურ მუშაობას ეწევა. ამოცანა ის არის, რომ ლექციური პროპაგანდის დონე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანების დონეზე ავიყვანოთ.

ა. კევლიშვილი,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი.

გარაქიანი მოსავლის დღესასწაული

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პავილიონი.

ფოტო ს. ნარიეკლიშვილისა.

მოუხედავად უამინდობისა, მშრომელები გაბრწყინებულ ნაკადად მოდიოდნენ ლაგოდეხის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისაკენ. კოლმეურნეებს, მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ინტერესით საკუთარი თვალით ნახონ თავიანთი შემოქმედებითი შრომის შედეგი, გაეცნონ მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას.

ყველაზე მიმზიდველია გამოფენის მთავარი პავილიონი. მის შესასვლელთან აღმართული სვეტების ერთ მხარეს რქანდაგრეული ჯიბის ფიტული მოუთავსებიათ, მეორე მხარეს — ქორბუდა ირმისა, რომელიც უალერსებს ბატარა ნუკრს. ეს ექსპონატები აქ სახელწიფო ნაკრძალის მუშაკებს მოუტანიათ.

ეთერზეთოვანი კულტურების მოდელთან დირექტორი კ. პოლოსოვი გულდასმით ესაუბრება მნახველებს რეპანის, ჟერანისა და ყაზანლიყის ვარდის კულტურების დიდ მნიშვნელობაზე. რაიონის კოლმეურნეობები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ კულტურების განვითარებას. მარტო რეპანი 100 ჰექტარის ნაცვლად 130 ჰექტარზე გაშენეს, სახელმწიფო დამზადების გეგმა 160 პროცენტით შეასრულეს. ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობამ 5 ჰექტარი რეპანის პლანტაცია ჰქონდა. გეგმით მთელ ფართობზე 175 ცენტნერი მოსავალი უნდა მიეღოო, სინამდვილეში 660 ცენტნერი მიიღეს. კოლმეურნეობა ფოლადაშვილმა 0,5 ჰექტარ ფართობზე 150 ცენტნერი რეპანი მოკრიფა და ჯილდად 7.800 მანეთი მიიღო.

პავილიონში გამოკრული დიაგრამები და ციფრები რაიონის კოლმეურნეობების აღმავლობაზე, მშრომელთა ბედნიერ ცხოვრებაზე მეტყველებენ. 1952 წელს რაიონის კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი 28 მილიონ მანეთს უდრიდა, ახლა კი 52 მილიონია. შესაბამისად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაც: ხორბლისა — 6,5 ცენტნერით, თამბაქოსი — 1,7 ცენტნერით. კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითადი წყარო თამბაქოა. მარტო თამბაქოთი წელს 32 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღეს.

შეთამბაქოობის დარგში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვა კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. ნატრიშვილი ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობას უხვი მოსავლის ბევრი სახელოვანი ოსტატი ჰყავს. აქ 33 სოციალისტური შრომის გმირია. მათი უმრავლესობა შეთამბაქოეებია. თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატის სოციალისტური შრომის გმირის ა. ინაშვილის ბრიგადას 47 ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია ჰქონდა. მცენარეებისათვის მზრუნველობა არ დაუკლიათ და შრომაც დაუფასდათ. თვითეულ ჰექტარზე წელს 34,2 ცენტნერი თამბაქო ჩაბარეს. ლიდა მაჰარაშვილის რგოლმა ჰექტარზე 46,6 ცენტნერი თამბაქო მიიღო. ა. ინაშვილის ბრიგადა მილიონერია. მილიონერია ავრეთვე მეთამბაქოობის № 6 ბრიგადა ზრიგადირი გ. ბიწაძე).

საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობის საერთო შემოსავალიც, რაც ამ ორი წლის წინათ 5,5 მილიონ მანეთს შეადგენდა, წელს კი 8 მილიონ მანეთს გადააჭარბა. განუხრელად მაღლდება კოლმეურნეთა კეთილდღეობა. წელს შრომადღეზე აქ 3 კილოგრამი მარცვლეული და 19 მანეთი ფული გაიცემა.

ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს კარგად მოუწყვიათ თავიანთი, კოლმეურნეობის პავილიონი. დიაგრამები ასახავენ მეცხოველეობის მიღწევებს, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ. თუ 1952 წელს აქ საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე 168 ლიტრი რძე მიიღეს, წელს წველადობა 800 ლიტრამდე აიყვანეს. ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით კოლმეურნეობამ ველის წითელი ჯიშის 30 ძროხა და 3 ბეღა-შეწარმოებელი შეიძინა. გადაჭარბებით შესრულდა ნამატის გეგმა. მნახველები ინტერესით ათვალიერებენ ახალამოღებული კარტოფილის ტუბერებს. ეს ამ კულტურის მეორე მოსავალია. იგი ნაწვერალზე დათესეს და მოსავლის აღება ნოემბერში დაამთავრეს. ჰექტარზე საშუალო მოსავლიანობამ 160 ცენტნერს მიაღწია.

რქაწითლის მსხვილი მტევნებით მოურთავთ ჭაბუკიანის კოლმეურნეობის პავილიონი. წელს აქ ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს — ჰექტარზე 130 ცენტნერი.

სოფელ თელა ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინ რაიონში ყველაზე ჩამორჩენილი იყო. წლების განმავლობაში კოლმეურნეებს შრომადღეებზე ეროვნულ ფასად ეძლეოდა ფული. ეს ფული ეროვნულ ფასად ეძლეოდა. ეს ფული ეროვნულ ფასად ეძლეოდა. ეს ფული ეროვნულ ფასად ეძლეოდა

ა. ი. ვიშინსკის დაკრძალვა

26 ნოემბერს დილიდანვე ათასობით ადამიანი მიდიოდა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, რათა გამოსთხოვებოდა გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, აკადემიკოსს ამხანაგ ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის.

კვარცხლბეკზე დგას ურნა განსვენებულის ფერფლით. იგი ყვავილებშია ჩაფლული. წინ სამგლოვიარო ჩარჩოშია ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის დიდი პორტრეტი. ატლასის ბალიშებზე აწყვია მთავრობის ჯილდოები: ლენინის ექვსი ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები, რომლებითაც ა. ი. ვიშინსკი დაჯილდოებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

გაისმის ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის, ლიადოვის, შოპენის, ნაპრავნიკის, გრიგის მელოდიები... დარბაზში არიან ა. ი. ვიშინსკის მეუღლე და ქალიშვილი, განსვენებულის ნათესავები და მახლობლები. სამგლოვიარო ვახტზე ერთმანეთს ცვლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა არმიის სახელგანთქმული მხედართმთავრები, საბჭოთა დიპლომატები, გამოჩენილი მეცნიერები, მოსკოვის საწარმოთა მუშები, დედაქალაქის პარტიული და საბჭოთა აქტივი.

კვარცხლბეკთან, რომელზეც დგას ურნა, სვეტებიანი დარბაზისა და ფოიეს კედლების გაყოლებით ბევრი გვირგვინებია.

ოთხ საათს არ შეწყვეტილა ადამიანთა ნაკადი კავშირების სახლში. სამშობლოს ერთგული შვილის ა. ი. ვიშინსკის ურნას ჩაუარა მრავალმა ათეულმა ათასმა მშრომელმა და პატივი სცა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს.

დადგა გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ა. ი. კირიჩენკო, ი. თ. თევოსიანი, ა. ფ. ზასიადკო, ა. ა. ანდრეევი, ვ. ა. ზორინი, ვ. ვ. კუზნეცოვი.

დღის ორი საათი და ოცდაათი წუთია. urნას კვარცხლბეკიდან იღებენ და დარბაზიდან გამოაქვთ. სამგლოვიარო მარშის ხმებში პროცესია ნელა მიემართება წითელ მოედანზე.

მწყობრად დგანან ჯარები დახრილი საბრძოლო დროშებით. საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, ნიჭიერი საბჭოთა დიპლომატის, დიდი მეცნიერის, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ა. ი. ვიშინსკის ნათელი ხსოვნის პატივსაცემად მოვიდა დედაქალაქის ათასობით მშრომელი.

აქ არიან მოსკოვში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები — საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები: ბირმის კავშირისა — მონგ ონი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ჯან ვენ-ტიანი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლიმ ხე, ბულგარეთისა — ა. ჟ. უოტერსი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვ. ლევიკოვსკი, ნიდერლანდისა — ე. ტეიკსეირა დე მატოსი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — დ. ადიღბაში, ავსტრიისა — ნ. ბაშოფი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — მ. პრიფტი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა — დ. ვიდიჩი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — რ. აპელტი, დიდი ბრიტანეთისა — უ. ჰეიტერი, საბერძნეთისა — ა. დ. კონტუმასი, კანადისა — ჯ. ბ. კ. უოტკინსი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — კ. ტ. ლუკანოვი, ნორვეგიისა — ე. ბრიდლანდი, ინდონეზიის რესპუბლიკისა — რ. სუბანდრინი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — ი. რაბი, ისრაელის სახელმწიფოსი — ს. ელიაშივი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ფ. მიუნიხი, თურქეთისა — ს. ეასინი; საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი ბინისტრები: ტაილანდისა — შ. სრესტაპუტრა, შვეიცარიისა — ე. დე ჰალერი, სირიისა — ფ. ელ ხანი; დროებითი საქმეთა რწმუნებულები: ეგვიპტისა — მ. ა. ს. ხეიდია, ირანისა — ა. ეტეესამი, იტალიის რესპუბლიკისა — მ. მონდელო, შვეციისა — ს. ფონ ეიილერ-შელპინი, პაკისტანისა — მ. ახმადი, ამერიკის შეერთებული შტატებისა — უ. ნ. უოლმსლი, არგენტინისა — ე. ფ. ებეკერი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ტო კვანგ დაუ, საფრანგეთისა — ჟ. ლე რუა, ფინეთისა — ი. ხალამა, ერაყისა — ო. ელ აანი, დანიისა — გ. ლარსენი, ლუქსემბურგისა — მ. ზ. ნ. ვიტეველინი, ეთიოპიისა — ფ. შიფერაუ, ისლანდიისა — ტ. ა. ტომჰასონი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოსაგან — ი. ჩეხი, ინდოეთის რესპუბლიკის საელჩოსაგან — პ. ნ. კაული, მექსიკის საელჩოსაგან — ე. მადერო, მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა წევრები და თანამშრომლები.

დღის სამი საათია. urნას ა. ი. ვიშინსკის ფერფლით დგამენ ლენინისა და სტალინის მავზოლეუმის პირდაპირ.

მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, პ. კ. პონომარენკო, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

ა. ი. ვიშინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგს ხსნის ამხ. მ. გ. პერვუხინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სიტყვას ამბობს ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ ვეთხოვებით ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის.

საბჭოთა ხალხმა და კომუნისტურმა პარტიამ მძიმე დანაკლისი განიცადეს. ჩვენს რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე და კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, დიდი მეცნიერი-იურისტი, საბჭოთა კავშირის ინტერესების დაუცხრომელი და მგზნებარე დამცველი საერთაშორისო საქმეებში. ჩვენ, ვინც მასთან ერთად ვმუშაობდით, დავკარგეთ ნახლობელი ადამიანი, გულსხმიერი ამხანაგი, ძვირფასი მეგობარი.

ანდრია იანუარის-ძემ თავი გამოიჩინა როგორც ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თავდადებულმა და მაღალკვალიფიციურმა მშენებელმა. მისმა დიდმა ნიჭმა, მრავალმხრივმა ცოდნამ, რასაც იგი ყოველთვის ივსებდა, და განსაკუთრებულმა ენერგიამ ნაყოფიერი გამოყენება ჰპოვა საბჭოთა მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში იგი მუშაობდა პასუხსაგებ პოსტებზე ჩვენი ქვეყნის სურსათით მომარაგების უზრუნველსაყოფად. ცნობილია, რომ ამ საქმეს, განსაკუთრებით იმ დროს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამის შემდეგ მთელი რიგი წლების მანძილზე ანდრია იანუარის-ძემ დიდი მუშაობა გაიარა სახალხო განათლების დარგში. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, თუ რა წარმატებით მოღვაწეობდა იგი უმაღლესი განათლების განვითარების დარგში.

ოცდაათიან წლებში ა. ი. ვიშინსკი მუშაობდა უმთავრესად ხელმძღვანელ პოსტებზე საბჭოთა პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოებში. მისი ბრწყინვალე გამოსვლები საბჭოთა კანონიერების დასაცავად და ყველა ჩვენგანისათვის დაუვიწყარი საბრალდებო სიტყვები საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ, მავნებლებისა და უცხოური ძირგამომთხრელი აგენტურის წინააღმდეგ, ტროცკისტებისა და მემარჯვენეთა მოღალატური ჯგუფების წინააღმდეგ მისი დიდი და დაუვიწყარი დამსახურებაა საბჭოთა ხალხის წინაშე.

უკანასკნელი თოთხმეტი წლის განმავლობაში ანდრია იანუარის-ძე საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობდა როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი. მისი ძლიერი და ნიჭიერი გამოსვლები საერთაშორისო თათბირებზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუდამ გამსჭვალული იყო მისწრაფებით — დაეცვა მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესები, როგორც ეს შეესაბამება საბჭოთა სახელმწიფოს მთელ პოლიტიკას. არა მარტო საბჭოთა ხალხში, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებშიც ვიშინსკის სახელი დაკავშირებულია მის დაუცხრომელ ბრძოლასთან ხალხთა შორის მშვიდობისათვის, ყველა იმ ღონისძიების მხარდაჭერისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ამასთანავე ვიშინსკის სახელი მუდამ მოგვაგონებს, თუ რაოდენ საჭიროა შეუდრეკელი ბრძოლა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, ხალხების ერთმანეთისათვის წასისიანების წინააღმდეგ.

იყო რა ერთგული და უნარიანი განმახორციელებელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკისა, რომელიც თავის უპირველეს ამოცანად ისახავს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, ა. ი. ვიშინსკი პირნათლად იცავდა ამ წმიდა საქმეს. ამიტ იგი ბევრად უწყობდა ხელს მთელი დემოკრატიული ბანაკის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებას. ამავე დროს ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად საერთაშორისო თანამშრომლობის უფრო ხელსაყრელი განვითარებისათვის.

როგორც წინათ, ისე უკანასკნელ დღეებსა და კვირეებში ა. ი. ვიშინსკი დაძაბულ ბრძოლას ეწეოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში, იცავდა რა მშვიდობის საქმეს. მისი მთავარი ამოცანა იყო მიეღწია ისეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის, რომლის მიზანია შეიარაღების საყოველთაო შემცირება და ატომისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვა, რათა ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას მხოლოდ-ახლოლდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. ამ მტკიცე და კეთილშობილურ ბრძოლაში მშვიდობის საქმისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის ანდრია იანუარის-ძე სრულიად არ ზოგავდა თავის ძალას, თავის ჯანმრთელობას. ულმობელმა სიკვდილმა მას მოუსწრო ამ გაჩაღებულ მუშაობაში, რომელიც ესოდენ საჭიროა საბჭოთა ხალხისა და ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხთათვის.

ანდრია იანუარის-ძე განსაკუთრებით შრომისმოყვარე ადამიანი იყო. იგი მთელ თავის სიცოცხლეს ახმარდა საქმის ინტერესებს, ხალხის ინტერესებს.

ჩვენ მას ვიცნობთ, როგორც გულისხმიერ და პრინციპულ ამხანაგს, უაღრესად მოკრძალებულს ყოფაცხოვრებაში, მომთხოვნელს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავისადმი. მან დასტოვა მრავალი მეგობარი, რომლებიც მუდამ პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონებენ მას და მის სახელოვან საქმეებს.

ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის ხსოვნა მრავალ წელს დარჩება საბჭოთა ადამიანებში, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საბჭოთა პოლიტიკის შესანიშნავი განმხორციელებლისა, როგორც კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის ერთგული და ნიჭიერი შვილისა.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო, ძვირფასო ამხანაგო!

* * *

იუსტიციის მუშაკთა სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა ამხ. კ. პ. გორშენინმა.

ამხ. კ. პ. გორშენინის სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ამხანაგ ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის.

საბჭოთა იუსტიციის მუშაკები, მთელ ხალხთან ერთად, დიდად გლოვობენ ამ ძმიმე დანაკლისს.

ამხანაგმა ვიშინსკიმ თავისი სიცოცხლის მრავალი წელი, მჩქეფარე ენერგია და ნათელი ნიჭი ნოახმარა პრაქტიკულ საქმიანობას საბჭოთა იუსტიციის ორგანოებში და საბჭოთა სამართლის მეცნიერების საკითხთა დამუშავებას.

პარტია ამხანაგ ვიშინსკის გზავნიდა სახელმწიფო მოღვაწეობის პასუხსაგებ უნინებზე და მათ შორის საბჭოთა იუსტიციის დარგში.

მუშაობდა რა სხვადასხვა დროს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში, რუსეთის სფსრ პროკურატურასა და იუსტიციის სახალხო კომისარიატში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის პროკურორად, ამხანაგი ვიშინსკი მუდამ იჩენდა ბოლშევიკურ მგზნებარებას და დიდ მომთხოვნელობას, მხურვალე სიყვარულს თავისი დიდი სამშობლოსადმი და დაუცხრომელ სიძულვილს მისი მტრებისადმი.

იუსტიციის ორგანოებში, ისევე როგორც სახელმწიფო მუშაობის სხვა პასუხსაგებ უბნებზე დიდ პრაქტიკულ მოღვაწეობას ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი ახანებდა განსაკუთრებით ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან საბჭოთა სამართლის დარგში. საბჭოთა სამართლის დარგში ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაშრომისათვის ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის მიენიჭა სტალინური პრემია.

საბჭოთა იუსტიციის დარგში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო და დიპლომატიურ პოსტებზე, მთელი თავისი მოღვაწეობით ამხანაგმა ვიშინსკიმ მიიპყრა იუსტიციის მუშაკების პატივისცემა და სიყვარული. მათ იგი მიაჩნდათ ისეთ ადამიანად, რომელსაც მუდამ აინტერესებდა იურიდიული პრაქტიკა და მეცნიერება, და სამართლიანად თვლიდნენ მას ყველაზე გამოჩენილ საბჭოთა იურისტად.

ამხანაგმა ვიშინსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე და შესანიშნავი ნიჭი მოახმარა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმის სამსახურს, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლას.

იგი იყო კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ემსახურებოდა თავის ხალხს, თავის საყვარელ სამშობლოს, რომლის სიდიადესა და აყვავებასაც ახმარდა მთელ თავის ძალასა და ცოდნას.

ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

* * *

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელით სიტყვას ამბობს აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი.

ამხ. ა. ნ. ნესმეიანოვის სიტყვა

ამხანაგებო, დღეს ღრმა მწუხარებით ვეთხოვებით ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის — შესანიშნავ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, დიდ მეცნიერს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს თავდადებულ სამსახურს მოახმარა.

შეუძლებელია რამდენიმე სიტყვით დავახასიათოთ ანდრია იანუარის-ძის მოღვაწეობა — იგი მჩქეფარე და მრავალფეროვანი იყო.

ანდრია იანუარის-ძის, როგორც გამოჩენილი დიპლომატის, საბჭოების ქვეყნის ბრწყინვალე ტრიბუნის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის სახელს მთელი მსოფლიო იცნობს.

ანდრია იანუარის-ძე გამოირჩეოდა როგორც მრავალმხრივი და ფართო მეცნიერული ინტერესების მქონე მეცნიერი. აკადემიკოს ვიშინსკის ეკუთვნის 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი სამართლის მეცნიერების დარგში. მან უძვირფასესი მეცნიერული შრომები შექმნა საბჭოთა სასამართლოს წყობილებისა და სამართლის წარმოების დარგში. მისი საფუძვლიანი გაანალიზება „სასამართლო მტკიცებათა თეორია საბჭოთა სამართალში“ დიდი წვლილია საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში. შესანიშნავი იყო მისი მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობა საერთაშორისო სამართლის დარგში.

ანდრია იანუარის-ძე არ სჯერდებოდა საბჭოთა და საერთაშორისო სამართლის პრობლემების დამუშავებას. მან ღრმად დაამუშავა და განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ.

საბჭოთა სამართლის მეცნიერების მიღწევები განუყოფელად დაკავშირებულია აკადემიკოს ვიშინსკის სახელთან. იგი სამართლის დარგში მეცნიერულ-თეორიული მუშაობის აღიარებული ხელმძღვანელი იყო.

დიდია ანდრია იანუარის-ძის როლი კადრების მომზადების საქმეში. მან აღზარდა იურისტების, საერთაშორისო სამართლის საკითხთა ექსპერტების, მეცნიერ მუშაკთა მთელი თაობა. იგი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი და რექტორი. დღემდე დაუვიწყარია უნივერსიტეტის ცხოვრებაში შესანიშნავი წლები — მისი რექტორობის წლები.

ბევრ რამეს უნდა უმადლოდეს აკადემიკოს ვიშინსკის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია. მთელი რიგი წლების მანძილზე იგი იყო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი [illegible] იმისა, რომ [illegible] ხელმწიფო მოღვაწეობას ეწეოდა, ინტერესს იჩენდა მეცნიერებათა აკადემიის მუშაობისადმი, ახარებდა მისი წარმატებანი, აწუხებდა წარუმატებლობა. იგი პოულობდა დროს იმისათვის, რომ დახმარებოდა აკადემიას, ხელი შეეწყო მისი მუშაობის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

იგი იყო მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის ორგანიზატორი და პირველი ხელმძღვანელი.

საბჭოთა მეცნიერებს შორის ანდრია იანუარის-ძე სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით, ისინი აფასებდნენ მას რ.ოგორც გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, ნიჭიერ მეცნიერ-კომუნისტს, კრისტალურ ადამიანს.

ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ ანდრია იანუარის-ძის ხსოვნას და ვეცდებით ვიმუშაოთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ ისევე დაუცხრომლად, ისევე მგზნებარედ, როგორც მუშაობდა იგი.

* * *

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების სოლიქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ა. პ. ვოლკოვმა.

ამხ. ა. პ. ვოლკოვის სიტყვა

ამხანაგებო!

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები დიდ მწუხარებას გამოთქვამენ გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის — ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის გარდაცვალების გამო.

ამხანაგ ვიშინსკის სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა და ჩვენი ხალხი დიდად აფასებენ ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის თვალსაჩინო დამსახურებას სოციალისტური სამშობლოს წინაშე.

ყველა პოსტზე, სადაც გზავნიდა მას პარტია, ამხანაგი ვიშინსკი მთელ თავის ძალას, ცოდნასა და ნიჭს ახმარდა მშობლიური საბჭოთა ხალხისადმი ერთგულ სამსახურს.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა მტკიცე და დაუღალავი მებრძოლი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებისათვის, პოლიტიკისა, რომლის მიზანია სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის ძლიერების, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება.

ეკავა რა პასუხსაგები პოსტები საბჭოთა კავშირის მთავრობასა და განათლების ორგანოებში, ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი მთელ თავის მჩქეფარე ენერგიას ახმარდა სახალხო განათლების, კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეს, საბჭოთა ინტელიგენციის კადრების მომზადების საქმეს.

თავისი სიცოცხლის მრავალი წლის მანძილზე ამხანაგი ვიშინსკი მოსკოვში მუშაობდა.

უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და პროფესორის პოსტზე ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკიმ თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით საბჭოთა სტუდენტობისა და დედაქალაქის ყველა მოწინავე მეცნიერის დამსახურებული პატივისცემა და მადლობა მოიპოვა.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები ამხანაგ ვიშინსკის იცნობენ, როგორც აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების მგზნებარე პროპაგანდისტს, რომელიც დედაქალაქის სხვადასხვა აუდიტორიაში ბრწყინვალე მეცნიერულ და პოლიტიკურ მოხსენებებს აკეთებდა.

ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი მუდამ სარგებლობდა ხალხის დიდი პატივისცემითა და ნდობით. 1921 და 1922 წლებში მოსკოვის მუშებმა ამხანაგი ვიშინსკი აირჩიეს მოსკოვის ბუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წევრად. 1947 წლიდან სიკვდილამდე იგი იყო მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მუშაობაში.

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები სამუდამოდ შეინახავენ გულში ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკის ნათელ ხსოვნას.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ერთგულო ამხანაგო!

* * *

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა. ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. ნ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, პ. კ. პონომარენკო, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი ფრთხილად იღებენ urნას ა. ი. ვიშინსკის ფერფლით. პროცესია მიემართება კრემლის კედლისაკენ. urნას თავსებენ ნიშში. ნიში იფარება მარმარილოს დაფით, რომელზეც ოქროს ასოებით ამოკვეთილია:

„ANDREA IANUARIS-DZE
VIXINSKI

10 — 18 83 XII
22 — 19 54 XI“.

სამჯერ იგრიალა არტილერიის ზალპმა, გაისმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ჰანგები. მავზოლეუმს ჩაუარეს ჯარებმა... (საკდესი).

საფრანგეთის ჩრდილოეთ აფრიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო

ვაშინგტონი, 24 ნოემბერი. (საკდესი). „ჩრდილოეთ აფრიკის თავისუფლებისათვის ბრძოლის კომიტეტის“ წარმომადგენელი პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში შეეხო ვაშინგტონში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის 19 ნოემბრის გამოსვლას, რომელშიც მენდეს-ფრანსი ცდილობდა ალჟირის, ტუნისისა და მაროკოს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაესახა როგორც გარედან წაქეზების, „იარაღის მიწოდებისა და აგენტების შეღწევის“ შედეგი.

აღნიშნა რა, რომ მენდეს-ფრანსის მტკიცება „ფაქტების საოცარი დამახინჯებაა“ და რომ არც მოგონილ უცხოელ აგენტებს, არც უცხოურ იარაღს „არა აქვთ დამოკიდებულება ჩრდილოეთ აფრიკის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან“, კომიტეტის წარმომადგენელმა ამასთან ხაზი გაუსვა იმას, რომ „იარაღისა და საჭურველის ძირითადი მასა, რომელსაც ახლა ფრანგები ჩრდილოეთ აფრიკაში იყენებენ, შემოზიდულია ამერიკიდან“.

კაირო, 23 ნოემბერი. (საკდესი). კაიროს გაზეთები აღნიშნავენ საფრანგეთ-ეგვიპტის ურთიერთობის გამწვავებას იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთის მთავრობამ ეგვიპტეს წუუყენა ბრალდება, თითქოს იგი ალჟირის, ტუნისისა და მაროკოს არაბ მოსახლეობას „აქეზებს“ ფრანგ ხელისუფალთა წინააღმდეგ გამოსვლებისათვის.

პრესის ცნობებით, საფრანგეთის მთავრობამ ეგვიპტეს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, რომლითაც ემუქრება მას, რომ „გაწყვეტს ეკონომიურ ურთიერთობას ეგვიპტესთან, თუ იგი არ შეწყვეტს ჩრდილოეთ აფრიკის ხალხებისათვის მხარდაჭერას მათს გამოსვლებში საფრანგეთის წინააღმდეგ“. გაზეთ „ალ-აჰრა მის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის სიტყვით, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მენდეს-ფრანსი „დაინებით მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პროტესტი განუცხადონ ეგვიპტეს“, იმოწმებს რა ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულებას ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებით.

აჯანყება დასავლეთ ირანში

ჯაკარტა, 25 ნოემბერი. (საკდესი). ანტარას საგენტო იტყობინება, რომ დასავლეთ ირანის სორონგის რაიონში იფეთქა მოსახლეობის აჯანყებამ ჰოლანდიელ ოკუპანტთა წინააღმდეგ. ჰოლანდიელებმა ამ რაიონში თავი მოუყარეს ჯარებს. მოსახლეობის წინააღმდეგ მოქმედებაში მონაწილეობას იღებს ავიაცია.

შინაპოლიტიკური ვითარების გამწვავება იაპონიაში

შანხაი, 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც იაპონიის საგენტო ციოდო ცუსინი იუწყება, ტოკიოში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შეიქმნა ახალი პოლიტიკური პარტია, რომელმაც დაირქვა „იაპონიის დემოკრატიული პარტია“ („ნიხონ მინსიუტო“). ახალი პარტია შეიქმნა ორი ბურჟუაზიული პარტიის — ეგრეთწოდებული „პროგრესული პარტიის“ და „იაპონიის ლიბერალური პარტიის“ შეერთების საფუძველზე. ეს პარტიები ფორმალურად ოპოზიციაში უდგანან იოსიდას ახლადდგენ მთავრობას. გარდა ამისა, ახალ პარტიაში შევიდა პარლამენტის 40 დეპუტატისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ამას წინათ ჩამოშორდა იოსიდას მმართველ ლიბერალურ პარტიას და რომელსაც სათავეში უდგას იაპონიის ერთ-ერთი უძველესი მემარჯვენე ბოსი იჩირო ხატოიამა. როგორც იუწყებიან, ამჟამად ახალ პარტიას 124 მანდატი აქვს პარლამენტის ქვედა პალატაში და 18 მანდატი მრჩეველთა პალატაში (იოსიდას მმართველ ლიბერალურ პარტიას 183 მანდატი აქვს ქვედა პალატაში და 91 მანდატი მრჩეველთა პალატაში)

„იაპონიის დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარედ დაინიშნა იჩირო ხატოიამა, თავმჯდომარის მოადგილედ — მამორუ სიგემიცუ.

ახალი კონსერვატიული პარტია იმ მომენტში შეიქმნა, როცა მმართველი ლიბერალური პარტიის შინაპოლიტიკურ და საგარეოპოლიტიკურ კურსს და განსაკუთრებით მის პოლიტიკას დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან ურთიერთობის დარგში მწვავედ აკრიტიკებენ იაპონიაში და როცა ის სერიოზულ კრიზისს განიცდის. ასეთ ვითარებაში ორი ოპოზიციური ბურჟუაზიული პარტიის შეერთება უწინარეს ყოვლისა მოწმობს, რომ იაპონიის მმართველი ზედფენები ცდილობენ განამტკიცონ კონსერვატიული პოლიტიკური ბანაკის პოზიციები იმ შემთხვევაში, თუ იოსიდას მთავრობა დაეცემა და იაპონიაში პარლამენტის ახალი არჩევნები მოხდება.

იაპონიის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი კონსერვატიული პარტიის გამოჩენას წინ უძღოდა ხანგრძლივი მანიპულაციები ყველა მემარჯვენე პარტიის, მათ შორის იოსიდას ლიბერალური პარტიის ლიდერებისა, რომლებიც ცდილობდნენ დემოკრატიული ძალების ზრდისათვის დაეპირისპირებინათ „მძლავრი კონსერვატიული გაერთიანება“. მაგრამ მემარჯვენე ლიდერებს შორის მოლაპარაკების მსვლელობაში განხეთქილებამ და უთანხმოებამ, რასაც უმთავრესად ხელისუფლებისათვის ბრძოლის ხასიათი აქვს, ხელი შეუშალა ასეთი „კონსერვატიული გაერთიანების“ შექმნას.

კონსერვატიულ ბანაკში იოსიდას საწინააღმდეგო განწყობილება განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ამას წინათ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ამერიკის შეერთებულ შტატებში იმგზავრა. ამ მგზავრობამ, მიუხედავად იოსიდას ფართო დაპირებებისა, სრულიადაც ვერ გადაჭრა ხერიოზულ ეკონომიური სიძნელეები, რომლებიც ახლა იაპონიის წინაშე დგას, და თვითონ იაპონიაში იგი დაახასიათეს როგორც „უნაყოფო“ და „წარუმატებელი“ მგზავრობა. იაპონის საზოგადოებრიობის ფართო ფენები, მათ შორის ბურჟუაზიული წრეების ნაწილი, სულ უფრო სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ახლანდელი მთავრობის პოლიტიკის გამო, რომელიც დამოკიდებულია ამერიკის შეერთებულ შტატებზე. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ახალი პარტიის პოლიტიკურ პროგრამაში შეტანილია ისეთი პუნქტები, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან ურთიერთობის ნორმალიზაცია.

როგორც იაპონიის რადიო იუწყება, ახალი პარტიის პირველი ნაბიჯი იყო მოთხოვნა, რომ იოსიდას კაბინეტი დაუყოვნებლივ გადადგეს. იუწყებიან, რომ იაპონის მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტურმა პარტიებმა, რომლებსაც პარლამენტის ქვედა პალატაში 133 მანდატი აქვთ, აგრეთვე განაცხადეს, რომ მხარს დაუჭერენ იოსიდას მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმს, რომლის შეტანასაც „იაპონიის დემოკრ

პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პარიზის გაზეთების ცნობებიდან ირკვევა, უკანასკნელ დროს „დასავლეთ ევროპის კავშირის“ ფარგლებში დასავლეთ გერმანიის შეიარაღების მომხრენი უაღრესად ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. პარლამენტის კომისიებში ცოტანი არიან იმის მსურველნი, რომ წარადგინონ მოხსენება, რომელიც ეროვნულ კრებას წინადადებას მისცემს დაამტკიცოს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი. მაგალითად, ეროვნული კრების საფინანსო კომისიამ უკვე სამჯერ დანიშნა თავისი მომხსენებელი და სამივე შემთხვევაში მათ (რადიკალმა გაიარმა, დამოუკიდებელმა რესპუბლიკელმა კურანმა და „სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ წევრმა მაქს ბრიუსემ) უარი თქვეს დაკისრებულ მისიაზე.

პრესა აღნიშნავს, რომ „სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ საპარლამენტო ჯგუფის გადაწყვეტილებამ, რომელიც უარძალავს მის წევრებს რომელიმე საპარლამენტო კომისიაში გააკეთონ მოხსენება ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა შესახებ, დიდი მღელვარება გამოიწვია ეროვნულ კრებაში და განსაკუთრებით მთავრობის წრეებში.

გუშინ დილით გაიმართა ეროვნული კრების საფინანსო კომისიის ახალი სხდომა. ამ კომისიის წინათ დანიშნულმა მომხსენებელმა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა საკითხზე ყოფილმა დეგოლელმა მაქს ბრიუსემ კვლავ გაანაცხადა, რომ იგი უარს ამბობს დაკისრებულ ამოცანაზე მისი საპარლამენტო ჯგუფის გადაწყვეტილების გამო. ბრიუსემ დასძინა, რომ მომხსენებლად უნდა დანიშნოს „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მეგობარი“. როგორც გაზეთი „ფრანს-სუარი“ იუწყება, ვინაიდან კომისიის სხდომას არც ერთი რადიკალი არ ესწრებოდა, თავმჯდომარე პოლ რეინომ უპასუხა: „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მეგობრები მცირერიცხოვანნი არიან. მაგრამ ჩვენ მომხსენებელი უნდა დანიშნოთ“.

ბოლოს კომისიამ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა საკითხზე მომხსენებლად ერთხმად აირჩია დეპუტატი ლიოტე (გლეხთა პარტია), რომელმაც ამასთან განაცხადა: „მე თანახმა ვარ გავხდე მომხსენებელი, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ ჩემი აზრი უარყოფითი იქნება“.

თავის მხრივ ეროვნული კრების ეროვნული თავდაცვის კომისიამ დღეს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა საკითხზე მომხსენებლად დანიშნა დეპუტატი ლუსტონო-ლაკო (გლეხთა პარტია). ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ ლუსტონო-ლაკოც წინააღმდეგია აღნიშნულ შეთანხმებათა რატიფიკაციისა.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ფრანს-სუარი“ წერს: „იმ შეტევის ცენტრი, რომლის განხორციელებას სხვადასხვა მხრიდან ამზადებენ მენდეს-ფრანსის მოწინააღმდეგენი, გუშინდელი დღიდან გადატანილ იქნა პარიზის შეთანხმებათა სფეროში“.

გაზეთი „მონდი“ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარლამენტში არავინ არ იცავს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებს, რომლებსაც „თავს ესხმიან“ კომუნისტები. „კომუნისტებისა და ზოგიერთი ზომიერის და დეგოლელის მხრივ აშკარა მტრულ დამოკიდებულებას, — წერს „მონდი“, — ემატება რადიკალთა დუმილი, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ მომხრეთა დიდი უმრავლესობის არაკეთილმოსურნეობა და ლოდინის პოზიცია, რომელიც დაიკავა „სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ ჯგუფის უმრავლესობამ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ბედისადმი უსიტყვო მორჩილების უმრავლესობის შექმნას, მაგრამ ორი პირობით, რომ კამათი დაიწყება გათვალისწინებულ ვადაში, ესე იგი დეკემბრის შუა რიცხვებში, და რომ ახლანდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კიდევ იქნება ხელისუფლების სათავეში.

პარლამენტართა ნამდვილი უმრავლესობა კვლავ მტრულად ეკიდება გერმანიის შეიარაღებას“.

პოლონეთის დელეგაციის შემადგენლობა სრულიად ევროპის თათბირზე

ვარშავა, 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობა სრულიად ევროპის თათბირზე ევროპაში კოლექტიური უშიშროების საკითხის გამო. თათბირს იწვევენ 29 ნოემბერს საბჭოთა მთავრობის ინიციატივით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: დელეგაციის მეთაური — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, დელეგაციის წევრები — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარიან ნაშკოვსკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვაცლავ ლეკიოკოსკი.

რუმინეთის დელეგაციის შემადგენლობა სრულიად ევროპის თათბირზე

ბუქარესტი, 25 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა დელეგაცია სრულიად ევროპის თათბირზე ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხის გამო. თათბირს იწვევენ 29 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ინიციატივით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კიკუ სტოიკა (დელეგაციის მეთაური), საგარეო საქმეთა მინისტრი სიმონ ბუგიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გრიგორე პეოეტიასა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში იონ რაბი.

გულგარეთის მთავრობის დელეგაციის შემადგენლობა სრულიად ევროპის თათბირზე

სოფია, 25 ნოემბერი. (საკდესი). ოფიციალურად გამოცხადდა შემადგენლობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციისა სრულიად ევროპის თათბირზე, რომელიც საბჭოთა კავშირის მთავრობის ინიციატივით მოწვეულია 29 ნოემბერს. დელეგაციას მეთაურობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ძოადგილე ა. იუგოვი. დელეგაციის წევრები არიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ტრაიკოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ნეიჩევი და ბულგარეთის ელჩი სსრ კავშირში. კ. ლუკანოვი.

ბაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

აზომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხის განხილვა

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). 22 ნოემბრის დილის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა ზვიდი ქვეყნის (ავსტრალიის, ბელგიის, კანადის, საფრანგეთის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, შეერთებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების) 6 ნოემბერს შეტანილი რეზოლუციის პროექტის განხილვა. რეზოლუცია აღნიშნავს, რომ წარმოიქს მოლაპარაკესა ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შექმნის შესახებ, და ითვალისწინებს, რომ მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხზე.

უკანასკნელ დღეებში ამ რეზოლუციის განხილვა უმთავრესად წარმოებს იმ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, თუ რა ურთიერთობა უნდა იქნას განხორციელებულ სააგენტოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის. სხვადასხვა შესწორებათა შემდეგ, რომლებიც რეზოლუციის პროექტის ავტორებმა შეიტანეს, პროექტის „ა“ განყოფილების პუნქტი 2 ითვალისწინებს, რომ „სააგენტომ, როგორც კი შეიქმნება, მოლაპარაკება აწარმოოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან შეთანხმების შესაბამისი ფორმის შესახებ“. ამრიგად, რეზოლუციის ავტორები ცდილობენ განხორციელებული სააგენტო დააყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ, მის კონტროლს გარეთ. ამავე დროს ცხადია, რომ ისეთი უმნიშვნელოვანეს ორგანოს, როგორიც არის ატომის ენერგიის სააგენტო, სავსებით გარკვეული ადგილი უნდა ეკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში, უნდა ემყარებოდეს მის ბრინციპებს და ექვემდებარებოდეს მის ხელმძღვანელ ორგანოებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შესწორება შეიტანა ზვიდი ქვეყნის პროექტის „ა“ განყოფილების პუნქტ 2-სათვის. შესწორებაში ნათქვამია, რომ გენერალური ასამბლეა „რეკომენდაციას იძლევა, რომ ეს ორგანო შეიქმნას როგორც ისეთი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გენერალური ასამბლეის წინაშე, და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უშიშროების საბჭოს წინაშე“.

პოლიტიკური კომიტეტის 22 ნოემბრის სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. სობოლევემ დაწვრილებით დაასაბუთა საბჭოთა შესწორება. საბჭოთა კავშირის დელეგაცია, თქვა მან, უკვე აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობას ატომის ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენების უზრუნველყოფის დარგში საფუძვლად უნდა დაედოს პრინციპი, რომელიც შეუძლებელს ხდის ასეთი თანამშრომლობის გამოყენებას ამა თუ იმ სახელმწიფოთა კანონიერი ინტერესების წინააღმდეგ. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო ორგანომ უნდა დაიკავოს ისეთი მდგომარეობა, რომ მან საქმიანობა ააგოს ამ პრინციპის შესაბამისად, რომელიც სავსებით ემთხვევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს. ასეთი ორგანოს საქმიანობა, რომელიც არ შეესაბამება ან, მით უმეტეს, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, წესდებისა, რომელიც ისახავს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მხარდაჭერის მიზნებს, სავსებით შეუთავსებელი იქნებოდა იმ უმნიშვნელოვანეს ამოცანასთან, რომელიც უნდა დაეკისროს ამ საერთაშორისო ორგანოს, შეუთავსებელი იქნებოდა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებთან.

ა. სობოლევემ აღნიშნა, რომ საჭიროა ზუსტი და ნათელი პასუხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და განზრახული საერთაშორისო ორგანოს (საგენტოს) ურთიერთობის საკითხზე, რომელშიც შედის აგრეთვე გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს წინაშე ამ ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ცხადყო, რომ უსაფუძვლოა ინგლისის წარმომადგენლის მტკიცება, თითქოს ატომის ენერგიის საგენტოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთობის პრობლემა უფრო ნათელი გახდება თვით ამ ორგანოს შექმნის შემდეგ. მან დასძინა, რომ ეთანხმება ბირმის წარმომადგენლის განცხადებას, რომ საჭიროა მჭიდრო კავშირი დამყარდეს საგენტოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის. „არ შეიძლება, რა თქმა უნდა, დავეთანხმოთ იმას, — განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, — რომ საერთაშორისო ორგანო არ შედიოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენლობაში და წარმოადგენდეს რაღაც ისეთ ორგანოს, რომელიც მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ დგას“. სსრ კავშირის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და საერთაშორისო ორგანოს ურთიერთობის ასეთ გაგებას, რომელსაც უკვე მხარს უჭერს ინდოეთის დელეგაცია, მხარს დაუჭერს აგრეთვე ყველა სხვა დელეგაცია.

ნიუ-იორკი, 24 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურმა კომიტეტმა დილის სხდომაზე დაამთავრა „ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის“ საკითხის განხილვა და ერთხმად მიიღო რეზოლუცია ამ საკითხზე.

სხდომის დასაწყისში ინდოეთის წარმომადგენელმა მენონმა დაამთავრა თავისი სიტყვა, რომელიც შეწყვიტა წინა სხდომაზე იმის გამო, რომ მოვიდა ცნობა ა. ი. ვიშინსკის გარდაცვალების შესახებ. მენონმა მოხსნა ინდოეთის შესწორება, რათა, როგორც მან განმარტა, არ გაძნელდეს ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხზე. მენონმა განაცხადა, საბჭოთა შესწორებების არსის წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მაგრამ იძულებული ვიქნები თავი შევიკავო მათთვის კენჭისყრის დროს, რადგან საუთარი დელეგაციის შესწორებანი მოვხსენი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა რეზოლუციის პროექტის თანაავტორთა სახელით განაცხადა, რომ საბჭოთა შესწორებანი მიუღებელია, ამასთან გაიმეორა, რომ თუ ატომის ენერგიის სამშვიდობო გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოიშვა სიტუაცია, რომელიც იანებს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, იგი გახდება უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეაში განხილვის საგანი.

საფრანგეთის დელეგატმა ჟიულ მოჟმა თქვა, თითქოს უსაფუძვლო იყოს იმის შიში, რომ ატომის ენერგიის გამოყენებას მოჰყვება ხელოვნური მასალების რაოდენობის გადიდება, რომლებიც გამოსადეგია ატომური იარაღის საწარმოებლად, ის შიში, რომლითაც ნაკარნახევია საბჭოთა პირველი შესწორება.

პერუს წარმომადგენელმა ბელაუნდემ განაცხადა, რომ პრინციპულად მისი დელეგაცია ემხრობა ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორიც არის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კონფერენცია მშვიდობიან მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხზე, რასაც ითვალისწინებს საბჭოთა მეორე შესწორება. მაგრამ მან დასძინა, რომ ხმას მისცემს ამ შესწორების წინააღმდეგ, რადგან, როგორც მან თქვა, დავას იმ საკითხზე, თუ რომელი ქვეყნები უნდა მიიწვიონ და რომელი არა, მეუძლია გაართულოს კონფერენციის მოწვევა.

ინგლისის დელეგატმა ნატინგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზვიდთა რეზოლუციის ტექსტი „კარს ღიას ტოვებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საერთაშორისო ორგანოს ურთიერთობის საკითხში“.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა. მან აღნიშნა, რომ შესწორება, რომელიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა, წინასწარ არ განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთობის ფორმას. სობოლევმა აღნიშნა, რომ დავა, რომელიც საფრანგეთის წარმომადგენელმა საბჭოთა შესწორების წინააღმდეგ დაიწყო, მხოლოდ ადასტურებს, რომ ეს შესწორება საჭიროა, რადგან ფაქტურად მან აღიარა, რომ ახლა თუ არა, მომავალში შეიძლება წარმოიშვას საფრთხე, რომ სამხედრო მიზნით გამოიყენონ ხელოვნური მასალები, რომლებიც განკუთვნილია, მაგალითად, ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად.

შეეხო რა ამერიკის დელეგატის განცხადებას, რომ მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დროს შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, რომელიც უშიშროების საბჭოს ჩარევას მოითხოვს, სობოლევმა განაცხადა: სწორედ იმის გამო, რომ ასეთ გარემოებას ვითვალისწინებთ, ვითხოვთ რეზოლუციაში ჩაიწეროს, რომ როცა ასეთი სიტუაცია შეიქმნება, საერთაშორისო ორგანო პასუხისმგებელი უნდა იყოს უშიშროების საბჭოს წინაშე.

მთელი რიგი დელეგატების გამოსვლის შემდეგ კომიტეტი შეუდგა კენჭისყრას. საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილი შესწორებანი უარყვეს. როცა კენჭი უყარეს საბჭოთა პირველ შესწორებას, რომელიც ეხება საერთაშორისო ორგანოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთობას, ხუთმა დელეგაციამ — სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა — ხმა მისცა ამ შესწორებას და თორმეტმა დელეგაციამ — მათ შორის ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმის, ავღანეთის, ეგვიპტის, ლიბანის, საუდის არაბეთის, სირიისა და ურუგვაის დელეგაციებმა — თავი შეიკავა. საბჭოთა მეორე შესწორების კენჭისყრის დროს, რომელიც ითვალისწინებს, რომ მოუწოდონ ყველა ქვეყანას მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციაში ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საკითხზე, ექვსმა დელეგაციამ — სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ბირმის დელეგაციებმა — ხმა მისცა შესწორებას და 18 დელეგაციამ თავი შეიკავა. სხვებთან ერთად თავი შეიკავეს ინდოეთის, ინდონეზიის, არაბთა და სკანდინავიის ქვეყნების დელეგაციებმა.

როცა კენჭი უყარეს შვიდთა რეზოლუციის ორ პუნქტს, რომელთა შესახებაც საბჭოთა კავშირმა წარადგინა თავისი შესწორებანი, სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა თავი შეიკავეს. როცა კენჭი უყარეს მთელ რეზოლუციას, სხდომამ იგი ერთხმად მიიღო.

ა. ა. სობოლევმა ილაპარაკა კენჭისყრის მოტივების გამო და განაცხადა, რომ, წარმოადგენა რა თავისი შესწორებანი, საბჭოთა კავშირი და დელეგაცია ცდილობდა მოესპო რეზოლუციის ნაკლოვანებანი, რომლებიც მან აღნიშნა. ის გარემოება, რომ სსრ კავშირმა ხმა მისცა რეზოლუციის მთლიანად, თქვა მან, იმას ნიშნავს, რომ სსრ კავშირის დელეგაცია იწონებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპს, რასაც საბჭოთა კავშირი ყოველთვის მტკიცედ მოითხოვდა და ახლაც მტკიცედ მოითხოვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს რეზოლუციის ზოგიერთი დებულების მიწონებას, რომლებიც ზღუდავენ ფარგლებს და აძნელებენ მშვიდობიანი მიზნებისათვის ატომის ენერგიის გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. საბჭოთა კავშირის დელეგაცია იმ აზრისაა, რომ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ დარგში საერთაშორისო თანამშრომლობასთან, დამატებითს განხილვას მოითხოვს დინტერესებულ სახელმწიფოთა შორის შემდგომი მოლაპარაკების მსვლელობაში.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობის საბოლოო სხდომა

ულან-ბატორი, 25 ნოემბერი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობამ.

საბოლოო სხდომაზე გამოცხადდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საგანმანათლებლო კომისიის არჩევნების შედეგები.

შემდეგ დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. წერილში ნათქვამია:

„მოსკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ძვირფასო ამხანაგებო! მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობა პარტიის ყველა წევრის სახელით მგზნებარე კომუნისტურ სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მონღოლმა ხალხმა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით საანგარიშო პერიოდში ახალი ნაბიჯი გადადგა წინ სოციალიზმის საფუძვლების შშენებლობაში. პირველი ხუთწლეულისა და მისი შემდგომი წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში მიღწეულია მონღოლეთის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება და ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობა. განუხრელად ვითარდება მონღოლეთის ეკონომიკის ძირითადი დარგი — მეცხოველეობა, მატულობს არატა მეურნეობების შემოსავლიანობა და მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, მთელ სახალხო მეურნეობაში მიმდინარეობს სოციალისტური სექტორის შემდგომი ზრდა და განმტკიცება, ვითარდება მონღოლეთის მრეწველობა, ტრანსპორტი და ვაჭრობა. ახალი წარმატებებია მიღწეული სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში, მაღლდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობამ შეაჯამა შედეგები მონღოლი ხალხის გამარჯვებებისა, რომლებიც მან მოიპოვა თავისი შშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში; მიიღო სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა, რაც ახალ სასახარულო პერსპექტივებს უსახავს ჩვენს სამშობლოს სოციალიზმისაკენ წინსვლაში. მონღოლი ხალხის ყველა წარმატება პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში დიდი საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უანგარო დახმარების შედეგია.

XII ყრილობა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიისა და მთელი მონღოლი ხალხის სახელით მხურვალედ მიესალმება და უაღრესად გულითად მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას და მისი სახით მოძმე საბჭოთა ხალხს მუდმივი უანგარო დახმარებისათვის, რასაც უწევენ ჩვენს ხალხს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში. XII ყრილობის მუშაობა ჩვენი პარტიის ერთიანობისა და ცენტრალური კომიტეტის გარშემო მისი დარაზმულობის მკაფიო დემონსტრაცია იყო. ეხელმძღვანელობთ რა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით, ჩვენ მივაღწევთ ახალ, კიდევ უფრო სახელოვან გამარჯვებებს.

ჩვენი პარტიის ყრილობის მუშაობაში საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის, ჩინეთის კომუნისტური პარტიის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციათა მონაწილეობა ალაფრთოვანებს ჩვენი პარტიის ყველა წევრს და ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ნათელი და სასიხარულო ცხოვრების მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად შემდგომი ბრძოლისათვის. ყრილობის მუშაობაში მომე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ეს მონაწილეობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის ხალხთა ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის, კომუნისტური და მუშათა პარტიების ძმური ურთიერთკავშირის განმტკიცებისა და მათი დარაზმულობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, რომელიც ეყრდნობა მუშათა კლასისა და მშრომელ არატა კავშირს, რაც სულ უფრო მტკიცდება, განუხრელად სწავლობს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან, ადულებებს რა თავისი რიგების ერთიანობას და რაზმავს რა თავის გარშემო ხალხის უფართოეს მასებს, შეძლებს გაუძღვეს თავის ხალხს სოციალიზმისაკენ. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას, რომელიც ზრდის თავისი ქვეყნის მშრომელებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მომავალშიც მოახმაროს მთელი ძალონე მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, გმირი საბჭოთა კავშირის მეთაურობით დემოკრატიისა და სოციალიზმის ძლიერი ბანაკის განმტკიცებისათვის ბრძოლას. დიდება საბჭოთა კავშირის დიად კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში! გაუმარჯოს მონღოლი და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას! გაუმარჯოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინს უძლეველ მოძღვრებას!

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობა.

ქალაქი ულან-ბატორი, 1954 წლის 25 ნოემბერი“.

მისასალმებელი წერილის ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ დელეგატები ფეხზე დგებიან და მჭუხარე ოვაციას მართავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად.

დასასრულ მოკლე სიტყვა წარმოთქვა ამხ. ცედენბალმა, რომელმაც შეაჯამა ყრილობის შედეგები და, მადლობა გადაუხადა რა სა